საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10109/01
24/09/2021

10109-01-2-202109240032

შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯიას"
მის: თბილისი, ჭავჭავძის ქუჩა N34, მე-6 სართული.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 10 სექტემბრის N16281 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" მიერ სამინისტროში წარმოდგენილია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებები, თუმცა ტექნიკური მახასიათებლლების გარდა, შინაარსობრივი მხარე, კერძოდ, შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაცია აბსოლუტურად იდენტურია მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობები დაგეგმილია სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას/შესწორებას;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებული საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი - 32.16.39.002 არ წარმოადგენს რეგისტრირებულ მონაცემს და შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით საპოექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს მდ. ძირულა შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მანძილი ავტოგასამართი სადგურიდან აღნიშნულ მდინარემდე და განხილული უნდა იყოს მასზე შესაძლო ზემოქმედების საკითხი. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ,,წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის თაობაზე.
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე **განთავსებულია** ოფის-მარკეტის შენობა, მარიგებელი სვეტები, ფარდული და ბეტონის სარკოფაგში მოთავსებული 5 ჰორიზონტალური სტაციონალური რეზერვუარი, ამასთან სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ რეზერვუარების **საპროექტო**

მოცულობაა 119.2 $მ^3$. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, „რეზერვუარებზე **მოსაწყობი** სასუნთქი სარქველების სიმაღლე: h – 1,5 მ. დიამეტრი: D – 0,62 მ“. შესაბამისად, სკინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს, როგორც ავტოგასამართი სადგურის მოწყობის, ისე რეზერვუარების მოწყობის დრო (წელი/თვე), ასევე შესრულებული და შესასრულებელი მოწყობის სამუშაოების შესახებ დეტალური ინფომაცია;

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „2021 წელს იგეგმება აღნიშნულ ავტოგასამართ სადგურზე ტექნოლოგიური ცვლილება, ასევე გაიზრდებადა საწვავის რეალიზაციები“ სკინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე არსებული და საპროექტო რეზერვუარების შესახებ დეტალური ინფომაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სანიაღვრე წყლების გაწმენდისათვის დაგეგმილია სალექარის მოწყობა, თუცა, წარმოდგენილი არ არის სალექარის ტიპის და პარამეტრების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ზემოქმედება გარემოს აგენტებზე მინიმალურია, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედებაც”, თუმცა, დოკუმენტში დაზუსტებული არ არის მანძილი საპროექტო ავტოგასამართ სადგურსა და უახლოეს მსგავსი ტიპის ობიექტს შორის;
- რეზერვუარების მოცულობის გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს მოსაწყობი სასუნთქი სარქველების დიამეტრი: D – 0,62 მ;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია „ნარჩენების დამუშავების უბნებს მოვაბეტონებთ და მოვაწყობთ წყალშემკრებ სისტემას“, დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების დამუშავების საკითხი;
- სკრინინგის ანგარიშში აღნიშნულია „ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენი კანონმდებლობის სრული დაცვით იქნება გატანილი.” დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პერიოდში სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე